სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი

22/10/2024

MES 6 24 0001364759

ბრძანება

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 20 თებერვლის №187664 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურის უფროსის 2024 წლის 26 სექტემბრის №1211768 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ" ცენტრის დირექტორის 2024 წლის 20 თებერვლის №187664 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესის" მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შემდგომ დაემატოს 2^1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

„2^1. კორესპონდენცია ადრესატს შეიძლება გაეგზავნოს მხოლოდ ელექტრონული ფოსტით, იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი თავად მიუთითებს აღნიშნულის თაობაზე განცხადების წარმოდგენის ეტაპზე.".

2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამსახურს ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ქეთევან კობახიძე